№ 266
დეკემბრის 12, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 266
დეკემბრის 12, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს 1 მან. 50 კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეისთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 25 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

№ 22. ტელეფონი № 617.

საბენეფისო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1902 წ.

ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ქ-ნი **ტასო აბაშიძისა და ბ-ნ ი. გარგარეთელის** მონაწილეობით

I

მუზმუზელა

(ტ ა რ ტ ი უ ფ ი)

კომ. 5 მოქ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტა 1 მოქ. მუზიკა ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

ორკესტრი **ნ. გ. ქართველიშვილის** ლოტბარობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, რკინელი და სხვანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „გრიგალი“, „სიძე-სიმამრი“, „აწინდელი ოჯახი“. „მიკუნჭული ბედნიერება“ და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება**

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური ანგარიში უკვე მზათ არის და წევრებს შეუძლიანთ მიიღონ თეატრის კანტორაში 11—2 საათამდის.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

განცხადება

ერთად-ერთი ჩემ თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავ-გადასავალი“. ნათქვამია: „ყვავსაც თავის ბახალო მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს-რა, მაგრამ მეკი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოლიფერია მოხსენებული, რაც-კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში შინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინც და მაინც, იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა. აქ არიან მოხსენებული: 1) ჩვენი მოღვაწეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოზის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის, და სხვათა მრავალთა, ვისიც წერილი-კი საზოგადო საქმეს შეეხებია. 2) ბიოგრაფია საზოგადო მოღვაწეების და ჩემი პირადი შეხედულობა მათ შესახებ. 3) ბანკების დაარსება ჩვენში, წერა კითხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედ მოყოლებულ ავან-ჩავანებით. 4) ბატონ-ყმობის ამბავი. 5) ძველებური ზნეჩვეულებანი. 6) მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღება. 7) საისტორიო ანეკდოტები და სხვანი... ერთი სიტყვით, ჩემი შეძლებისა და გვარად, ნამდვილი სარკე ნახევარ საუკუნისა! ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობას თვით მე ვკისრულობ, რომ ჩემდა გუნებისად გამოიცეს, მრავალ ტომიანი იქნება. და რადგანაც ერთად მათი გამოცემა არ მეხერხება, ჯერ უნდა გამოიცეს პირველი ტომი, რომლის ბეჭვდასაც ამ იანვრიდგან შევუდგები. ფასი თვითოეულ ტომისა მანეთია და ვისაც ჰსურს შეძენა, რადგანაც ათასორასზე (1200) მეტი არ იბეჭდება, შეუძლია ამ თავითვე დაიკვეთოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Гутенбергъ“, князію Акакію Ростомовичу Церетели და აგრევე ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, შიო ქუჩუკაშვილის სახლობაზე და ქუთაისში ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში.

(5—3) **აკაკი.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძოლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არმანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 12 დეკემბერი.

როგორც იქნა, ამ დღეებში გერმანიის რეიხსტაგში დასრულდა საბაჟო პროექტის გამო ატეხილი ბრძოლა,—გაიმარჯვა მთავრობამ, და მასთან ერთად დიდ მემამულეთა და მექარხნეთაც.

ახლად დაკანონებული საბაჟო ტარიფი გაცილებით აღემატება წინანდელს. რასაკვირველია, გერმანიის ხაზინას არა ერთი და ორი მილიონი შეემატება ამ ზედმეტის ბაჟით, და მეორეს მხრით, დიდი მემამულენი და მექარხნენი უფრო პირიანად და ადვილად გაასაღებენ თავიანთ საქონელს, რადგან მეტოქე შეუვიწროვდება და შეუსუსტდება. ამგვარად, გერმანიის მთავრობამ არც თავისი თავი დაივიწყა და მემამულე-მექარხნეთაც ნამდვილი მშობლიური ამაგი გაუწია.

მაგრამ, რა ცეცხლში ჩაჰყარა ხელმოკლე ხალხი, რომლის რიცხვი, როგორც ყოველ ქვეყანაში, გერმანიაშიაც დიდძალია მისთვის ყოველი ფარა სანატრელია, რომ როგორმე უსაჭიროესი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, დღიური ლუკმა-პური არ გამოელიოს და ილაჯგაწყვეტილი ღვთის ანაბარად არ დარჩეს. ეხლა-კი ამ საბრალომ იმ ლუკმაპურში, რომელსაც გუშინ, მაგ., ერთ ფარად ყიდულობდა, დღეს ორი და სამი ფარა უნდა გაიღოს. მაშასადამე, ეს კანონი კიდევ უფრო მოხრის წელში გაჭირვებულ ხალხსა, და რამოდენადმე საშუალო ქონების პატრონთაც. გავიხსენოთ აქვე, რომ ამ უკანასკნელ წლებში მეტად დაეცა საზოგადოდ დასავლეთ ევროპაში მუშის ხელ-ფასი; ათი-ათასობით სხედან უსაქმოდ გულხელ-დაკრეფილი მუშები.

ბევრი წარჩინებული მოღვაწე აალაპარაკა რეიხსტაგის ასეთმა შეუსაბამო გარდაწყვეტილებამ. გულის წყრომით აღნიშნავენ იგინი, რომ რეიხსტაგმა უღალატა თავის დანიშნულებას,—დღეს იგი აღარაა ხალხის სურვილის გამომხატველი,—ძალამ შეჰლახა უფლებაო. შეერთდით დროით და მოეშველეთ საერთო საქმეს, თორემ დიდი ხიფათი მოელის გერმანიის კონსტიტუციასაო.

როდესაც საფრანგეთის მთავრობამ მელინის და მის თანამოაზრეთა გავლენით ამ ცხრა-ათის წლის წინად მფარველობითი სისტემა შემოიღო, დიდი იმედი ჰქონდა, რომ შინაური მეურნეობა და მრეწველობა აჰყვავდებოდა და გაძლიერდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში დიდი უკმაყოფილობა ისმის ამ სისტემის გამო. თუ მელინი და მისი მომხრენი მაინც კიდევ ჩასჭიდებიან ამ სისტემას და არ უნდათ მისი უკუგდება,—ისინი მხოლოდ პირად ანგარით ხელმძღვანელობენ.

მეორეს მხრით გერმანიის ახალი საბაჟო კანონი თითქმის შეუძლებლადა ჰხდის უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებას. მართალია, კანცლერმა ბიულოვმა რეიხსტაგის უკანასკნელ კრებაზედ აღელვებულ საზოგადოების დასამშვიდებლად იმედიანი სიტყვა წარმოსთქვა,—დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ახალი ტარიფი მხოლოდ ოდნავ თუ შეამცირებს უცხოეთიდგან შემოსაზიდ საქონლის რაოდენობას, რადგან დღემდე მილიარდის სადირალი შემოჰქონდათ, და კიდეც რომ შემცირდეს ცოტად, ეს საგრძნობელიც არ იქნებაო. გარდა ამისა კანცლერი იმედოვნებს, რომ ახალი ტარიფი უფრო სახელდახელოა უცხო სახელმწიფოებთან გრძელ ვადიან სავაჭრო ხელშეკრულობათა დადებისათვისაო.

რასაკვირველია, გერმანიის კანცლერს ყოველივე აწონ-დაწონილი და გათვალისწინებული ექნებოდა და, ალბად, უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობასაც მიიღებდა ვარაუდში, მხოლოდ მისი უკანასკნელი სიტყვები სრულიად არ ეთანხმება უცხო სახელმწიფოების მიერ გამოთქმულ აზრსა. მაგალითად, რუსეთმა ჯერ ისევ შარშან,—როდესაც ლაპარაკი ასტყდა, გერმანიას ასეთი და ასეთი გაზრახვა აქვსო, — განაცხადა: „თუ გერმანიამ მართლა ასწია გადასახადი ჩვენს სამეურნეო ნაწარმოებზედ, ჩვენც შევსძლებთ სამაგიეროს გადახდას. თუ მართლა დიდი გადასახადების წყალობით მოგვის-პო ის სარგებლობა, რომელსაც გერმანიაში შეზიდულ საქონლითა ვღებულობთ, ჩვენ სავსებით ავინაზღაურებთ წაგებას: იმგვარ საქონელს, რომელიც რუსეთიდგან შედის გერმანიაში, ისეთსავე გადასახადს დავადებთ, როგორსაც გერმანია, და სხვებზედ-კი კიდევ მეტსაც“. ავსტრია-უნგრეთი და იტალიაც ხომ მეტად უკმაყოფილონი არიან ზე მოხსენებულ ტარიფით. რუსეთისა არ იყოს, იგინიც იმ აზრისანი არიან, რომ ყოვლად შეუძლებელია გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის განახლება და ჩვენც იმ ღონისძიებას უნდა მივმართოთ, როგორსაც ისა ხმარობსო.

დანამდვილებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ეს ახალი კანონი გერმანიისა დიდ საეკონომიო ომს ასტეხს ზე მცხსენებულ სახელმწიფოთა შორის.

სწორედ ახირებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ იტალია და ავსტრია-უნგრეთი, რომელთაც დიდი იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის მოკავშირეობით, მათი საერთაშორისო პოლიტიკა ფრთას გაშლიდა და მკვიდრს ნიადაგზედ დამყარდებოდა; ეს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა გერმანიასაც და მიტომაც მოსთხოვა ეხლა თავის მოკავშირეთ სამაგიერო საზღაური, საბაჟო გადასახადის სახით.

ამგვარად იტალიასა და [illegible] უნგრეთს იაფად არ უჯდებათ, ტყუ[illegible] ნიის მოკავშირეობა.

ტფილისი

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობისა იანვარში არ შესდგება და გადადებულ იქმნება აპრილის გასულსა, ან მაისის დამდეგისათვის. მიზეზი ამისი ის არის, რომ კანონის ძალით, კრების დღე ოთხის თვის წინად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული.

◆ გუშინ, 11-ს დეკემბერს, ტფილისის რეალურ სასწავლებლის მეხუთე კლასის მოწაფეთ (75 ყმაწვილმა) მათის მასწავლებლების იაკობ სოლ. ღულაძის და გ. ა. ოზნობიშინის მოთაოსობით დაათვალიერეს სიონის ტაძარი, საეკლესიო მუზეუმი და ანჩის-ხატის ტაძარი. სიონის ტაძარში ნახეს წმ. ნინოს ჯვარი და ყველანი ემთხვივნენ; იაკობ ღულაძემ მოწაფეებს გააცნო ამ ჯვარის თავ-გადასავალი და მისი მნიშვნელობა. შემდეგ ნახეს სიონის ღვთის-მშობლის ხატი, ციციანოვის საფლავის ძეგლი. აქაც ი. ღულაძემ დაწვრილებით მოუთხრო შეგირდებს ცნობები სიონის ღვთის-მშობლის შესახებ და აგრეთვე ციციშვილისა და თვით ტაძრის მოკლე ისტორია. გ. ოზნობიშინი მოწაფეთ აძლევდა ცნობებს შესახებ ტაძრის მხატრობისა. შემდეგ ყველა მოწაფეთ და მასწავლებელთ დაათვალიერეს საეკლესიო მუზეუმი, ნახეს ძველი ხატები, ხელნაწერები, წმ. შესამოსლები და სხ. მოსწავლენი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდნენ ტყავზედ ნაწერს წიგნებს, მხატვრობიანს ხელნაწერებს, სულ მცირე ტანიანს წიგნაკებს. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ი. ღულაძემ მოწაფეთ აუხსნა, რომ უკანასკნელად სიონი ალგეთის ქვით განაახლა მეფე ვახტანგ VI-მან. აქედგან მოწაფენი გაემგზავრნენ ანჩისხატის ტაძარში, სადაც დაუხვდა მათ ტაძრის წინამძღვარი მ. პოლიევტ კარბელაშვილი, რომელმაც მოწაფეთ დაწვრილებით გააცნო ისტორია ანჩისხატისა და აჩვენა სხვა ძველი და შესანიშნავი წმ. ნივთები და აუხსნა მათი ამბავი.

ამავე დღეს რეალურ სასწავლებლის სხვა კლასების მოწაფეთ დაათვალიერეს—ზოგმა ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა, ზოგმა „სამხეცო“ და ზოგმა „დიდების ტაძარი“.

◆ პარასკევს, 13 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე კავკასიის სააბრეშუმო სადგურის უმთავრესს შენობაში დანიშნულია კრება რუსეთის საიმპერატორო მებაღეთა საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს გაგრში მომავალ გამოფენის მოწყობის შესახები საქმე და რამდენიმე სხვა მიმდინარე საქმეცა.

◆ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი 14 დეკემბერს ახლად აგებულს ეკლესიას აკურთხებს. ეკლესიის საკურთხებლად მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა განჯაში გაემგზავრება 19 დეკემბერს. მეორე დღეს ეგზარხოსი აკურთხებს ადგილობრივ გიმნაზიის ეკლესიას ტფილისში.

◆ კვირას, 8 დეკემბერს, ტფილისის ხელოსნებმა საზოგადო კრებაზე დაადგინეს, დაიარსონ ამხანაგურ ხელშეკრულობით საკუთარი სახელოსნო და აგრეთვე საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება.

კვირას, 15 დეკემბერს, კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის საგანგებო კრებაა. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნულია ამავ ბანკის მესხებელთა კრება 106 რწმუნებულის ასარჩევად. პირველ ჯგუფის მესხებელთა კრება იქმნება 15 იანვარში, მეორე ჯგუფისა—16, მესამესი—17.

◆ დღეს, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე მთავარ-მართებლის თანაშემწის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით დაიწყება ამიერ კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის კრება.

◆ შაბათს, 14 დეკემბერს, გაიმართება საცეკვაო საღამო სომხების დედათა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ შაბათს, 21 დეკემბერს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენა გაიმართება ტფილისის რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

◆ ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის შესახებ.

◆ ხორცის დუქანი ვერაზედ, რომელიც ამ თვის პირველ რიცხვებში უნდა გამართულიყო, როგორც ეტყობა, იანვარშიც არ ეღირსება მცხოვრებელთ.

◆ სასტუმროებისა, ბუფეტებისა და დუქნების პატრონებს დაევალათ, რომ მომავალ წლისათვის 1 იანვრამდე ნება აიღონ სასტუმროებისა და დუქნების შენახვისა.

◆ ამ დღეებში ტფილისის სასულიერო სასწავლებლების გამგეობამ ოც-და-ათამდე მოსწავლე დაითხოვა სასწავლებლიდან პანსიონში შესანახის ფულის შეუტანლობისა გამო.

◆ შაბათს, 14 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის კრება ექმნება. კრებამ უნდა განიხილოს ქალაქის 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ განზრახვა აქვთ, გადააკეთონ ბალაჯარის რკინის გზის სადგური. გზათა სამინისტრომ ამ საქმისათვის ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას 136,290 მ. გამოუგზავნა.

◆ 16 დეკემბერს ქუთაისში იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებაა დანიშნული. სხვათა შორის, კრება ქუთაისის სასულიერო სემინარიის საქმეებს განიხილავს.

◆ ქალაქის სასწორი მოედანზე და „მუხრანიანთ“ ბორანი იჯარით ჰქონდა აღებული ბუდაღოვს. ბუდაღოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, დამიბრუნეთ წინდი უკანვე, რადგან გავკოტრდიო.

◆ წარსულ კვირას ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში იყო რუსეთის მუსიკალურ საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა კრება; კრებას უნდა ამოერჩია ორი დირექტორი ტფილისის განყოფილებისთვის და ორიც შესავალ-გასავლის ზედამხედველ კომისიის წევრი. კრებაზედ უნდა გამოცხადებულიყო 24 წევრი მაინც. კრებას დაესწრო მხოლოდ 6 კაცი; ეს ექვსი კაცი უყრიდა ერთმანეთს კენჭს: სამუსიკო სასწავლებლის საბჭოს წევრებად ამოირჩიეს: ბ. ალიხანოვი და კურელინსკი,—ერთი ამათგანი ბ-ნ ვ. დ. ყორღანოვის მაგიერ, რომელმაც თავი დაანება, რაღაც უთანხმოებისა გამო, სასწავლებელს: სარევიზიო კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: ბ.ბ. სუზანაჯიანცი, ეფიანჯიანცი და რაგოლერი.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.

(დასასრული *)

ხმოსნებს მოჰხსენდა მელიქოვის სახელობაზედ სტიპენდიის დანიშვნის საქმე. მელიქოვის სახელობაზედ რუსეთის უნივერსიტეტებში არსებობს ერთი სტიპენდია. ეს სტიპენდია უნდა დაენიშნოს იმას, ვინც კავკასიაში მცხოვრებია და გაათავა ტფილისის რომელიმე გიმნაზია წარჩინებით; აქამომდე ეს სტიპენდია თავის-უფალია; აი, სწორედ ამ სტიპენდიის მისაღებათ მიჰმართეს რამდენმამე სტუდენტმა ქალაქის სასწავლებელთა აღმასრულებელ კომისიას თხოვნით; როგორც საქმიდგან სჩანს, კომისიამ ყველა მთხოვნელი იმდენად ღარიბად იცნო, რომ გაუძნელდა რომელიმესთვის მიეცა უპირატესობა. ამის გამო კომისიამ ამ საგნის განხილვა წარმოუდგინა საბჭოს და მასთანავე დაუსახელა ხუთი სტუდენტი, რომლებიც თუ თანაბარ გაჭირვებაში არ არიან, მაინც მათი მდგომარეობა შველას თხოულობსო. თვით საბჭოსაც-კი გაუძნელდა საქმის გადაწყვეტა ისე, რომ სიმართლის სასწორს არსაით გადაეძლია და არც ერთ მთხოვნელისათვის არ ეწყენინებინა. ბევრი ამბობდა ამ ხუთში ერთის დასახელებას ბარათებით, მეორენი ყუთების დადგმას და კენჭის ყრას, მესამენი წილის ყრას; საუბედუროდ. აქ დასახელებულ ღონეს ერთნი სამართლიანად სცნობდნენ, მეორენი—უსამართლოდ. ამ გამოურკვეველმა მდგომარეობამ ისიც-კი მოასაზრებინათ, რომ შევეკითხოთ ტფილისში არსებულ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას და ამ ხუთში, რომელსაც საზოგადოება დაგვისახელებს, იმას მიუსაჯოთ სტიპენდიაო. ხმოსანი ხუდადოვი იმასაც-კს ამტკიცებდა, რომ სტიპენდიების დანიშვნა მივანდოთ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას, რადგანაც მათ უფრო დაწამდვილებით იციან სტუდენტების მდგომარეობაო; ამ აზრს ხუდადოვი იმაზედ ამყარებდა, რომ ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ერთი სისტემა აქვს, რომელსაც მე ვერ დავეთანხმები; ეს სისტემა ის არის, რომ როცა უნდა გამოიკვლიოს რომელისამე მთხოვნელის გაჭირების ვითარება, ამ საქმეს ჩააბარებს ხოლმე თავის სავაჭრო პოლიციასო. მან უნდა გამოიკვლიოს რა შეძლების პატრონია მთხოვნელი; ვერ წარმომიდგენია, რომ ქალაქის პოლიციამ დანამდვილებით შეიტყოს ვისიმე გაჭირება, ან რა პილიციის საქმეა ამისთანა მოვალეობა, განა პოლიციას შეუძლიან ასწონ-დასწონოს მოსწავლის გარემოება, იქნება ის მოვლენა, რაც ჩვენ სტუდენტის გაჭირებათ მიგვაჩნია, პოლიციელს მის კეთილდღეობად ეჩვენოს; სხვა საქმეაო, განაგრძობს ხუდადოვი, როცა სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება უნიშნავს სტიპენდიას; იქ პირდაპირ უნივერსიტეტიდგან მოსდის სტუდენტის გაჭირების ცნობანი; იმას აქვს კავშირი სტუდენტებთანა და, მაშასადამე, ვის ეცოდინება რომელისამე მთხოვნელ სტუნდეტის გაჭირება ისე დაახლოვებით, თუ არა იმათაო, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, შევეკითხოთ სტუდენთა საზოგადოებას და იმან შეგვატყობინოს ამ სტუდენტების მდგომარეობა, ან თვით ამ საზოგადოებამ გვიჩვენოს და დაგვისახელოს, ამ ხუთში რომელი უფრო გაჭირვებულია და ჩვენც იმას დავუნიშნოთ ეს სტიპენდიაო. საბჭო მაინც დიდს განსაცდელში ჩავარდა და არ იცოდა ვისთვის დაენიშნა სტიპენდია. რომ ამ მდგომარეობიდგან თავი დაეხსნა საბჭოს, ზოგიერთმა ხმოსანმა წარმოსთქვა, რომ ეს სტიპენდია მივცეთ იმ სამს კაცს, რომლებიც ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ ხმის უმეტესობით დაასახელაო; სტიპენდიის მთხოვნელები კი დასახელებულნი იყვნენ: ერთი—ხუთის ხმით ორი—ოთხ-ოთხის ხმით და დანარჩენნი ორი—ორისა და ერთის ხმით. მაგრამ აქ კიდევ სხვა დაბრკოლება აღმოჩნდა: სტუდენტ კრინიცკის გაჭირება ყველას გადაამეტებდა და მისი თხოვნა კი სასწავლებელთა კომისიას არ განეხილა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია დაუსრულებელი ბაასი.

ბ-ნი ხუდადოვი: ბატონებო, განა ეხლა დრო არის იმაზედ ვილაპარაკოთ, რომ ამ საქმის გამოკვლევა ან სასწავლებელთა კომისიას გარდაეცეს განსახილველად, ან საქმე გარდაიდოს შემდეგ კრებისათვის?! ამ სტუდენტების თხოვნები ისეც დიდიხანია ჰყრია უყურადღებოდ და მათი მთხოვნელებიკი გულის ძგერით მოელიან, აცა რითი გათავდება საქმეო და რა პასუხს მივიღებ ჩემ თხოვნაზედაო. განა მათი გაჭირება მოცდასა თხოულობს? რამ მოიყვანა ისინი ჩვენს კარამდის, თუ დიდმა შევიწროებამ არა? განუწყვეტლივ გვიკაკუნებენ კარებს, ელიან შველას და ჩვენ კი მათთვის კარები დაგვიხშვიაო; გაიხსენეთ, რომ ახლოვდება მეორე ნახევარ წელიწადიც; ამას რამდენი უბედურება მოსდევს ხოლმე, რამდენს ითხოვენ უნივერსიტეტიდგან ფულის შეუტანლობისთვის; ვინ იცის, ამ სტიპენდიის მომლოდნელი რა იმედებით სცხოვრობს დღემდენ. ყველას თქვენგანს გამოუცდია სტუდენტის ბედ-იღბალი და ცხოვრება. თუ ბევრი ჩვენთაგანი სტუდენტობის დროს ბედმა უზრუნველ-ჰყო, სხვის გაჭირების მამართ ეს ვერაფერი საზომია. გვიწვდიან ხელს და, რაც შეიძლება, მალე უნდა ვუშველოთ,—ამიტომ ამ საქმის გარდაწყვეტა გადადებას-კი არა, დღესვე გადაჭრას თხოულობს.

ამ საგანმა ბევრი ალაპარაკა და დიდი აურზაური გამოიწვია. თავმჯდომარემ ზარსაც-კი მიჰმართა. თორმეტი საათი შესრულდა და პირველის ათ წუთზედ თავმჯდომარემ გამოაცხადა: საგნის განხილვა შემდეგის კრებისათვის გადიდოვო.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება. სამშაბათს, 10-ს ამა დეკემბერს, ტფილისის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ამავე საზოგადოების წევრთ, ბ-ნის ალ. ქალანთარის თავმჯდომარეობით, ჰქონდათ ბჭობა თ-დ ვლ. მიქელაძის პროექტის „მცირე კრედიტის ორგანიზაციის“ შესახებ. სანამ პროექტს არსებათ განხილვას შეუდგებოდნენ, საზოგადოების მდივანმა ვ. იოსელიანმა წაიკითხა წინა კრების ოქმი, რომელიც შეუცვლელად დაამტკიცეს. ამასთანავე საზოგადოებას მოხსენდა, რომ იურიევის უნივერსიტეტი თავის ასის წლის არსებობის იუბილეის დღესასწაულობსო და სასურველია სათანადო მილოცვის დეპეშა გავგზავნოსო. კრებამ ერთხმად დაადგინა, საბჭომ გაუგზავნოს საზოგადოების სახელით უნივერსიტეტს მისალოცი დეპეშა. ამის შემდეგ თ-დ ვლ. მიქელაძემ მოკლედ განმარტა თავის ვრცელი მოხსენების უმთავრესი ტეზისები და ყველა ის საფუძვლები, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ დასკვნის დასასაბუთებლად. თ-დ მიქელაძის სიტყვით მცირე კრედიტის რიგიანად მოსაწესრიგებლად საჭიროა მთავრობამ სათანადო თანხა გადასდოს, საჭიროა მთავრობის მატერიალური დახმარება. ხოლო ამ თანხამ რომ მართლად ხალხის საჭიროებას საგრძნობლად დახმარება გაუწიოს, საჭიროა დაარსებულ იქმნას საგუბერნიო მცირე კრედიტის მოსაწესრიგებელი კომიტეტი, რომლის წევრებად მოწვეულ უნდა იქმნან საგუბერნიო საგლეხო საქმეთა მმართველობის წევრები, მომრიგებელ შუამავალნი, მაზრის უფროსნი და სხვ. გარდა ამისა, დაწესებულ უნდა იქმნას სამაზრო კომიტეტები, თვითოეულ მაზრაში გამწესდეს სათანადო აგენტები. ბ-ნი რეფერენტის აზრით მცირე კრედიტის მოსაწყობი თანხა მთავრობამ უნდა გადასდოს სწორედ იმ ფულებიდგან, რომელიც ხალხის საკუთრებას შეადგენს და ამ ჟამად ინახება სახელმწიფო შემნახველ კასებში.

თ-დ ს. გახვახიშვილი წინააღმდეგია რეფერენტის იმ აზრისა, რომ ვითომც საზღვარგარეთ მთავრობა აწესრიგებდეს მცირე კრედიტის მოწყობის საქმეს. ოპონენტის აზრით, მთავრობა ევროპაში არ ერევა კრედიტის ორგანიზაციის საქმეში და ჩვენშიაც ამ რიგად უნდა მოწესრიგდეს კრედიტის ორგანიზაცია. სახალხო კრედიტი, ორატორის სიტყვით, თვით-მართველობის ნიადაგზედ უნდა აღმოცენდეს, სახალხო კრედიტი უნდა თვითმმართველობდეს. პერმის ბანკის მოღვაწეობა ნათლად გვიმტკიცებს ამ პრინციპის საფუძვლიანობას. ამ ბანკის მოღვაწეობა შესანიშნავია, ხოლო ამაში მთავრობას სულ მცირე სამსახური მიუძღვის. პირიქით მთავრობა, კიდევაც აფერხებდა საქმის ნაყოფიერად წარმართვას. ბანკის გულშემატკივრებმა სთხოვეს მთავრობას 100,000 მანეთით დახმარება და ამ დახმარების მაგივრად მხოლოდ 5000 მან. მიიღეს. აუცილებელ პირობად კრედიტის განვითარებისათვის ამ საგნის ღრმად მცოდნე ბ-ნი კოსინსკი კრედიტის თვით-მართველობას აღიარებს. როცა კრედიტის მმართველნი თვითონვე დაინტერესებულნი იქმნებიან საქმის რიგიანათ წარმოებისათვის, თვით ეს გარემოება უტყუარი საბუთია საქმის კეთილად წარმართვისა. ადგილობრივი მკვიდრი უფრო სამართლიანად გაარჩევს, ვინ უფრო რიგიანათ ისარგებლებს კრედიტით და ვინ არა. როცა კრედიტს უხსნიან ვისმეს, საჭიროა მხედველობაში იქმნეს მიღებული, სასარგებლო საქმისათვის სესხულობს ესა თუ ის კაცი ფულს თუ არა. ამ კრიტერიუმის მიღება საჭიროა, ბიუროკრატიული ორგანიზაცია კრედიტის საქმეს ვერ მოაწესრიგებს სასურველად. გამგეობის წევრები და სხვა, მთავრობისაგან დანიშნული მოხელენი, სულ მცირედად იქმნებიან დაინტერესებულნი საქმის კარგად წარმოებით ® ამიტომ, რასაკვირველია, კრედიტის განვითარების საქმეც შეფერხდება. მთავრობა თვითონაც არ ჩაერევა ამ საქმეში, რადგან არა სწამს, რომ ეს საქმე რიგიანად წავიდეს. ჩვენში თუ მცირე კრედიტის საქმე ცუდად მიდის, ამის მიზეზი სალსრის უქონლობაა. ჩვენში ზოგიერთ სოფლებს 100,000

---

*) იქვე, გვერდი 265.

ფელეტონი

სამთა კავშირი

(დასასრული*)

უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში თავად-აზნაურობას ჩამოერთვა ყოველ გვარი განსაკუთრებული უფლება, რომელიც წარსულმა ცხოვრებამ მიანიჭა; ამასთანავე ამ წოდებას აღარ შერჩა ის მნიშვნელობაც, რომელიც ჰქონდა ძველად: აღარ არის დიდებული (ფეოდალი), განთავისუფლდნენ მღვდელი, აზნაური, გლეხ-კაცი; ყველა მოძმე შეიქმნა თანასწორი სახელმწიფოს და კანონის წინაშე. თავად-აზნაურობას მიენიჭა მხოლოდ ის უფლება და წეს-წყობილება, როგორც ყველა შიდა რუსეთის გუბერნიის თავად-აზნაურობას ჰქონდა და აქვს დღემდე.

მერე, განა ახალ ხანას თავად-აზნაურობა ამ მხრივ უჩივის? უკმაყოფილოა და წინააღმდეგი დიდებულის რეფორმებისა? სულაც არა! რაკი თავად-აზნაურობა დარწმუნდა, რომ ყველა ეს ცვლილება საჭიროა და საბედნიერო სამშობლოსათვის, არამც თუ ამის საწინააღმდეგოდ უმოქმედნია რამ, არამედ ყოველ გვარ თანაგრძნობას უცხადებდა მთავრობას და შეჰხაროდა იმ მამული-შვილთ, რომელთაც კალმით ანუ სხვა რამ შრომით და მო[illegible]ებით ამ დიად საქმისთვის მხარი დაუ[illegible] და შემწეობა აღმოუჩენიათ.

[illegible]რი თავისი ძალ-ღონე ამ წოდებამ შესწირა სახელმწიფოს; ემსახურებოდა მხნედ და ერთგულად, რაკი დარწმუნდა რომ სახელმწიფო განაგრძობდა ქართველთ ერის ისტორიულს დანიშნულებას—ამხობდა საქართველოს მტრებს და იპყრობდა ოსმალების, სპარსელების, ლეკების და თათრის ხანების ქვეყნებს და ამასთანავე ისეთ წეს-წყობილებას ამყარებდა, რომელსაც უმრავლესობისა და საყოველთაო ინტერესები მოითხოვდა.

ჩვენმა თავად-აზნაურობამ სახელი გაითქვა სახელმწიფოში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ასპარეზზედ. ჩვენი მოძმენი აოცებდნენ ყველას თავის ვაჟკაცობითა და ენერგიით. დიდებულმა რუსეთმა არ იუცხოვა ამათი მოთაოსობა მთელ კავკასიაში. ჩვენი გამოჩენილი სარდლები წინ უძღოდნენ რუსეთის ძლიერს ჯარს და აოცებდნენ ყველას თავის გულადობით და სამხედრო ნიჭით. არა ერთი ჩვენი მოძმე იყო გამოჩენილი რუსეთის ჯარის სარდალი: გიორგი ერისთავი, დიდ კნიაზად წოდებული, გრიგორი ორბელიანი, მოსე არღუთაშვილი, ვასილ ბებუთოვი, მიხეილ ლორის მელიქოვი, ლევან მელიქიშვილი, გრიგორი დადიანი, ლევან გურიელი, ივანე ანდრონიკაშვილი, იოსებ თარხნიშვილი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნიკოლოზ, არჩილ, ალექსანდრე და იაზონ ჭავჭავაძენი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ძმანი ბუჭყიაშვილნი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანი, დავით ჭავჭავაძე, გიორგი, ნიკოლოზ ერისთავნი, ბიძინა და ილია ჩოლოყაშვილი და სხვანი...

განა ეხლა-კი ცოტანი გვყავს გამოჩენილნი სარდალნი, რომლებითაც ვსახელობთ და ვამაყობთ?!

მერე განა ამ მამული-შვილებმა მარტო სამხედრო ასპარეზზედ ისახელეს თავი და სამშობლოს წინაშე არარავითარი სხვა სამსახური არ მიუძღვით? მაშ ვინ გაამშვენიერა ქართული ენა? გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთ ხელში ხმალი ეპყრათ, მეორე ხელში—კალამი!

ვინც გაიძახის, რომ თავად-აზნაურთა წოდება აწმყო ცხოვრებაში „მეტი-მჭამელიაო“, ჰგმობს და ჰკიცხავს ყველას, ვინც ამ აზრს არ ეთანხმება, საკმარისია დააკვირდეს უტყუარს ფაქტებს და თვალ-წინ დაიყენოს ის მამული-შვილნი, რომელნიც შესძინა ამ წოდებამ სამშობლოს; აბა ჩამოსთვალონ ის გამოჩენილნი წარმომადგენელნი ჩვენის თავად-აზნაურობისა, რომელნიც როგორც ლამპარნი და მნათობნი მოსჩანან ამ ჩვენს უნუგეშო ცხოვრებაში: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი, დავით და რაფიელ ერისთავნი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, სერგეი მესხი, ბარბარე ჯორჯაძისა, აკაკი წერეთელი ეკატერინე გაბაშვილისა, ილია ჭავჭავაძე და სხვანი. ნუ თუ სამშობლოს სალაროს ამათ არავითარი განძი არ შესძინეს?! ნუ თუ შეუძლიან ერს დაივიწყოს ის წოდება, რომელსაც ეს მამულის შვილნი ეკუთვნიან, ზურგი უბრუნოს და რაღაც მოგონილ „ეკონომიურ წინააღმდეგობით“ ამართლებდეს ამისთანა არა ძმურს საქციელს. განა მარტო ეს მოღვაწენი შესძინა ამ წოდებამ სამშობლოს? ამას წინად დიდის ამბით იდღესასწაულა მთელმა საქართველომ ჩვენის გამოჩენილის მსახიობის ვასილ აბაშიძის 25 წლის პატიოსანი მოღვაწეობა. რომელ წოდებას ეკუთვნის ეს მამულის-შვილი და მისი ამხანაგნი კ. ყიფიანი, ვ. ალექსიევ-მესხიშვილი, კ. და ეფემია მესხი, ქ-ნი ჩხეიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ანასტასია აბაშიძისა და ბევრნი სხვანი პატიოსანი მოღვაწენი, რომელთაც ქართული სცენა შეჰქმნეს და დაამკვიდრეს ჩვენში. ვინ იყო მამა ქართულის თეატრისა? ვინ გამოვიდნენ პირველად ქართულ სცენაზედ? პატიოსანნი შვილნი თავად-აზნაურთა წოდებისა

ამას გარდა, ვრთი ვიკითხოთ, რომელმა კლასმა ან დასმა დაარსა და შესძინა ჩვენ სამშობლოს ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთობა, წერა-კითხვის საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, სკოლები, რომელშიაც განათლებას იღებენ განურჩევლად ყველა წოდების შვილნი, ქართული თეატრი, სათავად-მამულო ბანკები, სკოლის საზოგადოება და სხვა.

გვიჩვენონ ის „კლასი“ ანუ „დასი“, რომელსაც მეტი სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე, ან შეეძლოს ახლო მომავალში გაუწიოს საჭირო სამსახური და ისიც დაამტკიცონ, რომ მათ მხარში არ ამოუდგება ეს მათგან ათვალ-წუნებული წოდება?

როდის ყოფილა, რომ თავად-აზნაურთა წოდებას აუთვალწუნებია ის მამულის შვილნი, რომელთაც თავის შრომით სამშობლოს წინაშე სამსახური რამ გაუწევიათ და მიუძღვით, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი თავად-აზნაურობის წოდებას არ ეკუთვნიან?

გასაოცარს სურათს წარმოადგენს ჩვენი თავად-აზნაურობა. აბა, დააკვირდით რა სავალალოა და უფრო ხშირად სამგმობიც თავადების და აზნაურების კერძო ცხოვრება და მისწრაფება და ამასთანავე რა დიდია ამ წოდების საზოგადო საერთო შრომა და სამსახური. ყოველი წევრი ამ წოდებისა, რაც უნდა ეგოისტურად იქცეოდეს თავის კერძო საკუთარ საქმეებში, თითქო ბუნებას იცვლისო, როდესაც საზოგადო საქმეს ეხება, სულ სხვა მიმართულებას ადგია. მაშინ ავიწყდება თავისი კერძო ინტერესები, ეგოისტური მისწრაფება და მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებს საზოგადოებას, სამშობლოს. ამ ოცის წლის განმავლობაში ერთხელ არ მახსოვს, რომელსამე საზოგადო კრებაზედ თავად-აზნაურობას ეღალატნოს საზოგადო საქმისათვის. მერე რით აიხსნება ასეთი მოვლენა? რის შედეგია, რომ იმ წოდების კაცთა კრება, რომლის წევრთა უმრავლესობა დღეს კერძო ცხოვრებით არავითარ საგულისხმოს არ მოასწავებს, სულ სხვა მიმართულებისა არის და დიდი საიმედო სამშობლოსათვის?

მე წინადაც გამოვსთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ძლიერია და დაუძლეველებელი დღემდე თავად-აზნაურობა, ქონებით და კერძო ცხოვრებით კი არა, არამედ მარტო იმ ისტორიულის ტრადიციით და იმ მოვალეობით, რომელიც აკისრა ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ და აწმყო ვითარებამ. როგორც მემკვიდ-

---

*) იხ. „ივერია“ № 263.

მ. ვალი აქვს და მცირე თანხით ამ შემთხვევაში რის გაკეთება შეიძლება? ბ-ნი ს. ვახვახიშვილის აზრით საჭიროა მთავრობამ ფული გაიღოს კრედიტის მოსაწყობად, ხოლო ამ საქმის მმართველობას იკისრებს თვით საზოგადოება. ამასთანავე, რასაკვირველია, საჭიროა ორგვარი კანტროლი დაწესდეს, ერთი მთავრობისა, მეორე საზოგადოების მხრივ. თუ ასე მოვაწყობთ კრედიტის ორგანიზაციას, ხალხიც ნდობის თვალით მოეპყრობა ამ საქმეს. ბ-ნმა გ. ქურულმა განმარტა, რომ გამოსარკვევია ორი უმთავრესი საკითხი, ვინ უნდა მიაწოდოს კრედიტი ხალხს და ვინ უნდა მოგვცეს ამისათვის საჭირო ფული. მთავრობის დაწესებულებანი ხალხის ადგილობრივ საჭიროების ახლოდ არა სდგანან, ვერ უწევენ მას ჯეროვან მფარველობას. მთავრობის მიერ დანიშნული სხვა-და-სხვა მოხელის შენახვა ძვირად ჯდება, რაიც საქმის სასურველად წარმართვას მეტად ავნებსო. მოხსენების ნაწილი ამ მხრით ორატორის აზრით, უარყოფილი უნდა იქმნას. მცირე კრედიტის გასამკვიდრებლად საჭიროა ვიხელმძღვანელოთ თვით მოღვაწეობის პრინციპით. სანამ ამ პრინციპს არ დაუდებთ სარჩულად მცირე კრედიტის ორგანიზაციის საქმეს, მანამდის ძნელი მოსალოდნელია სხვა საშუალებით საქმე რიგიანათ მოვაგვაროთ. მცირე კრედიტის განკითარებას მეტად ხელს შეუწყობს სესხის ვადების უფრო სხვა ნიადაგზედ დამყარება.

მცირე კრედიტის განსავითარებლად აუცილებლად საჭიროა სესხის უვადობის პრინციპის დაცვა, თუ სულ სავსებით არა, რამდენიმე ნაწილად მაინც. ამ გარემოებას სოფლის მეურნესათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება. დასასრულ ბ-ნმა გ. ქურულმა დაასკვნა, რომ მცირე კრედიტის წესიერად მოწყობისათვის აუცილებლად საჭიროა დაარსებულ იქმნას ცენტრალური კასსა, ამ კასისათვის გამოცალკევებულ იქმნას ჯეროვანი თანხა, საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში ან უმთავრესს ცენტრებში დაარსდეს ფილიალური განყოფილებანი, დაარსდეს ამასთანავე სათანადო საბჭო, რომელნიც განსაზღვრავს თვითოეულის მსესხებელის პირიანობას კრედიტის გახსნის დროს.

(დასასრული იქნება)

ჩვენებური ამბები

ოზურგეთი. აქეთ ცუდი დარებია. წვიმებმა მოუხშირეს. ჩვენი ქუჩებიც ატალახდნენ.

აქაურ სამოქალაქო ბაღში, არის ერთი, ნახევრად ჩამომპალი „როტონდა“, რომელიც დიდიხანია ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას, თუ დანიშნულების ასრულებათ არ ჩავთვლით იმ სამსახურს, რომელსაც „როტონდა“ უწევს „ბანქო-კამათლების“ მოტრფიალე ყმაწვილებს. საჭიროა აეკრძალოთ ამ ვაჟბატონებს „როტონდაში“ თამაშობი.

ადგილობრივმა თვით-მმართველობამ მიაქცია ყურადღება სავაჭრო მოედანზედ დადგმულ ქოხმახებს და მის ნაცვლადააშენა მშვენიერი კოშკია „ყაფანი“.

აქაურ ჩარჩებს 12 საათამდის აკრძალული აქვთ სოფლებიდგან შემოტანილ სანოვაგის ყიდვა, ამიტომ მათ შემდეგს ხერხს მიჰმართეს: დილა ადრიან მირბიან ქუჩებში და სოფლელებიდგან სანოვაგეს ნახევარ ფასად ყიდულობენ; შემდეგ-კი იძულებული ხართ, სამი იმოდენი ფასი მისცეთ ჩარჩებს.

ახლო-მახლო სოფლებში ძლიერ გავრცელებულია ყელ-ჭირვება, რომელიც მუსრს ავლებს ბავშვებს. ამ სენმა ზოგიერთ ოჯახებში ერთ კვირას ოთხი-ხუთი ბავშვი იმსხვერპლა.

გარდანქეშანი.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან)

შემდეგი*)

ბ. ი. სტაროსელსკი. სოფლის სკოლა ისედაც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ გაუკეთებია ის დიდი საქმე, რომელსაც პირველ დაწყებითი სწავლა ეწოდება, ისედაც შევიწროებულია ნივთიერად და მძიმე უღელი ადგია მას, რადა დამძიმება უნდა ამ უღელს! სამეურნეო ცოდნის გავრცელება, რავდენსათაც შეუძლიანთ კერძო მემამულეთ, რომელთაც კარგად აქვთ დაყენებული მეურნეობა, იმდენათ არ შეუძლიანთ, არა თუ სასოფლო სკოლებს, არამედ თვით სამეურნეო სკოლებსაც. სოფლის სკოლა ხომ ვერ მისცემს ხალხს ვერავითარს სამეურნეო ცოდნას და ვერც სამეურნეო სკოლა მისცემს იმ ძვირფასს ცოდნას, რომელიც უმთავრეს ძარღვად უნდა ჩაითვალოს ცოდნის განხორციელებაში. ესეც არის, თუ რამ ცოდნაა გავრცელებული კახეთში, ეს მემამულეთა წყალობით, როგორებიც არიან: საუფლისწულო უწყება, კარდანახში შერემეტევი, რომლის წყალობით მევენახეობა კარდენახში დღეს საუკეთესოდ არის დაყენებული ვიდრე სხვაგან სადმე მთელს კახეთში, ახაშენში სარაჯევის ვენახი, წინანდალში ვერმიშევისა, რომელმაც არარასაგან ვენახის შემოსავლით თვით ვენახიც იყიდა და მოსავალი 16 საპალნიდამ 200 საპალნემდე აიყვანა.

სწორედ ამისთანა მემამულეთაგან სწავლობს ხალხი იმას, რასაც სამეურნეო სკოლა ვერ ასწავლის. ეს გახლავთ ანგარიში, სასარგებლოა თუ საზარალო ვენახის უწყებულის სახით შემუშავება. რა-კი ამ ცოდნას აძლევს კერძო მემამულე, ხალხსაც ამისდა მიხედვით ან შეაქვს სამეურნეო ცოდნა თავის მამულში, ან არა. რა თქმა უნდა, როცა ზედ-მიწევნით იცის გლეხმა, რამდენად სასარგებლოა უწყებული სამეურნეო ცოდნის განხორციელება, დიდის მეცადინეობით ეცდება ამ ცოდნის თავის მამულში შეტანას. შესახებ ამავე საკითხისა მე მოხსენება წარვუდგინე თელავში მევენახეთა კრებას, რომელმაც თავისი აზრი გამოთქვა, დაახლოვებით იგივე, რაც მე მოგახსენეთ. (აქ წაკითხული იყო კრებისაგან მიღებული გარდაწყვეტილება).

დიმ. ცისკარიშვილი. სოფლის სკოლა უნდა განთავისუფლებულ იყოს სამეურნეო განყოფილებისაგან. საკმარისია, რაც აქნობამდის დრო დავაკარგვინეთ სოფლის სკოლას. გამოცდამ ნათლად დაგვანახვა, რომ სამეურნეო განყოფილებით სკოლას სამწუხარო შედეგი მოსდევს: ვერც წერა-კითხვას ასწავლის და ვერც სამეურნეო ცოდნას აძლევს. საჭიროა, საყოველთაო სავალდებულო სწავლა შემოვიღოთ, რომ ხალხში მოისპოს ცრუ-მორწმუნოება და მომზადდეს იგი სამეურნეო ცოდნის მისაღებად. ამასთან საჭიროა, მასწავლებელნი ნივთიერად დაკმაყოფილებულ იქმნენ ვიდრე ახლა არიან, უამისოთ ისეთივე შედეგი ექმნება სკოლას, როგორიც აქნობამდის ჰქონდა. როცა სასოფლო სკოლებში პირველ დაწყებითი სწავლის საქმე კარგად იქმნება დაყენებული, სამეურნეო ცოდნის გავრცელება, სხვათა-შორის, შესაძლებელი იქმნება წიგნაკებითაც. დღევანდლამდის ჩვენ არა გვაქვს ამისთანა წიგნაკები არც სახელმწიფო და არც სხვა ენაზედ. რაც არის, აქ მარტო საზოგადო მოსაზრებანი არის გამოთქმული. გერმანიაში გლეხს თუ დასჭირდება საპნის გაკეთება, რაცა ქონი აქვს, აიღებს წიგნაკს, წაიკითხავს და გააკეთებს საპონს. ჩვენი წიგნები მე თვითონ ბევრჯელ წამიკითხავს, გაკეთებით-კი არაფერი გამიკეთებია, რადგანაც გარკვევით არაფერი ეთქვადა შიგა. რასაკვირველია, აუცილებელ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს, რომ სამეურნეო წიგნაკები უნდა იწერებოდეს იმ ენაზედ, რომელი ენაც ხალხშია გავრცელებული.

თავ. იური ჭავჭავაძე. სტეხნისის სკოლა, რომელიც ახლა ყვარელშია მოთავსებული, გახსნა 1872 წელს, წლიდაწლიდ ხარჯავს 12,000 მან., მუდამ სკოლასთან სამეურნეო განყოფილებაა და ამოდენა ხანში არავითარი ნაყოფი არ გამოუღია სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში. ცხადია, ამოდენა ფული ტყუილ-უბრალოდ იღუპება.

თ. ა. მაღაშვილი. ვერც ერთი სოფლის სკოლა ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ სწავლის საქმე რაციონალურს პირობებზედ არ არის დამყარებული. სოფლის სკოლაში იგზავნებიან მასწავლებლებად ასტრახანიდამ ან სხვა ადგილებიდამ მოსულები, რომელთაც არც ენა იციან, არც ხალხის ზნე-ჩვეულებანი და არც სხვა ადგილობრივი პირობანი. აბა რა უნდა გააკეთოს იმ კაცმა, რომელიც ფურზედ ბავშვებთან საუბრის დროს იძულებულია, თვისი ტანით გამოხატოს ფური და აჩვენოს, ძუძები სად აქვს ფურს? ეს რადაც ბუნებრივი მეტოდია, მარტო დროს აკარგვინებს მოსწავლეს და შეძენით კი ვერას სძენს. საჭიროა სოფლის სკოლაში პირველად სწავლება სწარმოებდეს ბავშვებისათვის გასაგებ ენაზედ, რომ მერე უკეთესად შეასწავლოს სახელმწიფო ენა.

ბ. ცირიულნიკოვი. სამეურნეო ცოდნათა გავრცელებისათვის ენა სრულებით საჭირო არ არის. შეიძლება მაგალითით აჩვენო, როგორ უნდა დამყნო, როგორ დასთესო, მოხნა და სხვ. ახალციხის სკოლასთან სამეურნეო განყოფილება არის. იქ მასწავლებელია სრულიად უვიცი ადგილობრივის ენისა, მაგრამ სამეურნეო ცოდნას ბევრად ავრცელებს. იქ ნასწავლნი მიდიან და მემამულეებს უდგებიან.

აქ ჰკითხეს დაგვისახელეთო და ვერც ერთი მაგალითი ვერ დაასახელა.

გამგებელი საუფლისწულო მამულებისა კუროედოვი. შემცდარი აზრია, ვითომ მოსწავლენი გაურბიან სკოლას იმისთვის, რომ მასწავლებლისა არა ესმით-რა. ჩვენ წინანდალში გავხსენით სკოლა. მასწავლებლად რუსია. ჯერ იყო 8 მოსწავლე, მერე თან-და-თან იმატა და დღეს 60, რომელთაგან 8 მოსწავლე რუსია, სხვანი იმავე სოფლის შვილებია. დიდის სიამოვნებით დადიან. მსურველნი მეტნი იყვნენ, ზოგნი ვერ მივიღეთ უადგილობის გამო. უნდა გენახათ დედები როგორა სტიროდნენ და იხვეწებოდნენ, იმათი შვილებიც მიგვეღო. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ იქავე, ჩვენი სკოლის ახლო, საეკლესიო-სამრევლო სკოლა არის, შენობაც საკუთარი აქვს, მაგრამ მე იქ მოსწავლეები არ მინახავს. ჩვენს სკოლაში მალე სწავლობენ რუსულს ენას, რომელიც დღეს ყველასათვის აუცილებელი საჭიროა. საცა უნდა წავიდეს გლეხი, ყველგან ამ საჭიროებას შეეყრება. ეს-კი ითქმის სამეურნეო ცოდნათა გავრცელებაზედ; ინსტრუქტორისათვის ადგილობრივი ენის ცოდნა საჭირო არ არის, ოღონდ აჩვენოს თვალით. გლეხისათვის საკმარისია ჩვენება იმისა, რა როგორ უნდა გაკეთდეს.

თავ. ა ვახვახიშვილი. აქ გამოითქვა აზრი, რომ დედა-ენა არც სკოლაშია საჭირო და არც სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში. თუ აღარც სკოლაში და აღარც სხვაგან დედა-ენას ადგილი არ ექმნება, ცხადია, ჩვენ დედა-ენაზედ დღეს თუ ხვალ ხელი უნდა ავიღოთ. თუ ჩვენ დედა-ენას დავკარგავთ, თან გავაქრობთ ჩვენს ხალხოსნობასაც, ე. ი. „ჩვენ“ აღარ ვიქნებით. რა-კი „ჩვენ“ აღარ ვიქნებით, რა საჭიროა ჩვენთვის ან სწავლა და ან სხვა რამე. არა, მე იმას გამჯობინებ, ისევ დავიცვა დედა-ენა და მასთან საკუთარი არსებობა, თუნდა უსწავლელად დავრჩე, ვიდრე მოვისპო არსებობა.

ბ. ი. ზარაფიშვილი. დღევანდელს მსჯელობაში ორი საგანია ერთმანეთში არეული: საზოგადო განვითარება და სახელმწიფო ენის ცოდნა. ჯერ ერთი, რომ, რომელიმე ენის ცოდნა არ ნიშნავს საზოგადო განვითარებას, მეორე, რომ შეიძლება კაცმა იცოდეს სახელმწიფო ენა, მაგრამ საზოგადო განვითარება არა ჰქონდეს, მესამე, რომ შეიძლება კაცმა სახელმწიფო ენა არ იცოდეს და საზოგადოდ კარგად განვითარებული იყოს. მილიონობით არიან სახელმწიფო ენის მცოდნენი, მაგრამ უმეცრებასა და წყვდიად-სიბნელით მოცულნი. ყველანი თანახმანი არიან აქა, რომ პირველად ყოვლისა საზოგადო განვითარება საჭიროა, რომ რაიმე ცოდნის რიგიანად გავრცელება შეიძლებოდეს. რასაკვირველია, აგრეთვე ფრიად საჭიროა არა რუსისათვის სახელმწიფო ენის ცოდნა. უნდა ამ ორს აუცილებელ საჭიროებას დავუკვირდეთ და შევათანხმოთ, მოვაგვაროთ და მოვათავსოთ ერთად; თუ სოფლის სკოლას აქვს იმდენი დრო, რომ მოსწავლეს ჯერ რუსული შეასწავლოს და მერე ამავე ენაზედ საზოგადოდ განავითაროს მოსწავლე, ძალიან კარგი, ასე მოიქცეს. მაგრამ სად არის ეს დრო? განა სოფლის სკოლას შეუძლიან ამისთანა სასწავლო მოხდინოს? კარგად იცით, რავდენად გაჭირვებულია ამ მხრივ საქმე საშუალო სასწავლებლებშიაც! სოფლის სკოლა ვერ მისცემს საზოგადო განვითარებას ამ გზით, თუნდა ორ სამ კლასიანადაც გავაქციოთ. სოფლის სკოლა მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ საზოგადო განვითარებას მიაწვდის მოსწავლეს დედა ენაზედ და ამასთანავე, ცალკე სასწავლო საგნად გაიხდის სახელმწიფო ენის შესწავლას. ამნაირად შეიძლება მიეცეთ უმრავლესობას საზოგადო განვითარება და სახელმწიფო ენის ცოდნა. ყოველივე სხვა საშუალება ამ საქმეში უვარ-ყოფილი უნდა იყოს, როგორც ნაცადი და უნაყოფო შედეგიანი. თუ სადმე არის სკოლა, რომელსაც მოსწავლენი კი არ გაურბიან, დიდის სიამოვნებითაც დაიარებიან და მშობელნი მიუღებლობისა გამო, იცრემლებიან, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს სკოლა საზოგადო განვითარებას იძლევა. საკმარისია, ბავშვები რუსულად ტიტინს სწავლობდნენ, რომ მიიზიდოს მოსწავლენი და მათი მშობელნი. ამათ ისე ჰგონიათ, რუსულად ტიტინთან განვითარება იყოს შეერთებული. ამიტომ რუსულად მოტიტინეს ხალხი ნასწავლს ეძახის. თქვენ ხომ კარგად იცით, რა შორი-შორს ამბავია ენის ცოდნა და განვითარება გონებისა! ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ყველა სოფლის სკოლა იმ პირობებში არ არის, როგორშიაც აქ დასახელებული საუფლისწულო უწყების სკოლაა. აქ ჯამაგირიც დიდია, სასწავლებლის გარეშემოც მარტო რუსული ლაპარაკი ისმის: ზედამხედველიც მუდამ გვერდში უდგა [illegible] შესაძლებლად ხდის რუსულად ტიტინის შესწავლას, ისიც მაშინ, როცა რუსს-მასწავლებელს თანაშემწედ ჰყავს ადგილობრივი ენის მცოდნე და ეს თანაშემწე ეხმარება მასწავლებელს ნათქმის თარგმნაში. ამ პირობებში თუ ჩავაყენებთ სოფლის სკოლას, იგი ნახევრად მიზანს მიაღწევს, ე. ი. რუსულად ტიტინს ასწავლის და სხვა არაფერი. მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის! სკოლა, რომელიც გონებით არ ანვითარებს ბავშვს, არც ეკლესიას ემსახურება და არც სახელმწიფოს: გონებით განუვითარებლად ისევ ცრუ-მორწმუნეობის მორევში რჩება ბავშვი, ღმერთი ხატისა და მზისაგან ვერ გაურჩევია, ისევ სეტყვის ორშაბათს უფრო მტკიცედ უქმობს, ვიდრე კვირასა ან სხვა საუფლო დღესასწაულსა და სხვ. და სხვ. ამავე მიზეზისა გამო [illegible] და ბევრჯელ გლეხისავე სასარგებლო განკარგულებას შეუფერებლად ასრულებს, ან კიდევ ჭირიან საქონელს ჰმალავს და მთლად უწყდება საქონელი, ვერ მოუხმარებია საუკეთესო უფლებანი და მისთვის გამოცემული „დებულება“. უნდა ვითხოვოთ, რომ სოფლის სკოლაში საზოგადო განვითარების საქმე სწარმოებდეს მოსწავლეთა დედაენაზედ და რუსული ენა, როგორც სახელმწიფო ენა და ფრიად საჭირო რუსეთის ქვეშევრდომთათვის, შეადგენდეს განსაკუთრებულ სასწავლო საგანს.

მცირე ხნით შეწყვეტილი იყო კრება. თავიდამვე დიდი სიცოცხლე ეტყობოდა კრებას და სიცოცხლე უფრო მოუმატა ამ 10 თავისუფალმა წუთმა. შესდგა ჯგუფები და დიდის აღტაცებით კამათობდნენ ყველანი.

თავმჯდომარემ კრების გახსნისთანავე წინადადება მისცა ვითხოვოთ საუფლისწულო უწყების სკოლის გაფართოვება და ჩობახაურის სანერგე-სადგურის მოხელეთა მომატებაო. კრებამ მეორე წინადადება უარ-ჰყო, როგორც შეუფერებელი გადაწყვეტილება, თანაც გამოითქვა აზრი, რომ საუფლისწულო უწყების სკოლა თუ რუსულს ასწავლის, თელავში უკეთესი სკოლებია ისევ კერძო პირებისა მაგ. ნ. სიდამონ-ერისთავისა და ქ-ბის. შიოყაშვილისა, რომლებიც უფრო ბეჯითად და ნაყოფიერად ემსახურებიან წერა კითხვის გავრცელებას და რუსული ენის სწავლებას. რაც შეეხება ჩობახაურის სანერგეს, საჭიროა მისი გაფართოვება, რადგანაც ფილოქსერასთან საბრძოლველი საშუალება ამ სანერგით მზადდება.

შემდეგ თავმჯდომარემ კრებას გააცნო ამავე საკითხის შესახებ სექციის აზრი, რომელიც მდგომარეობს:

1) პირველ-დაწყებითი სკოლები განთავისუფლებულ იქმნან სამეურნეო განყოფილებისაგან. 2) სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად დაარსდეს საჩვენებელი სადგურები, სადაც უნდა მიექცეს ყურადღება, სხვა-და-სხვა კულტურის ცდას; მანამ შეიკრიბება საკმაო გამოცდილებანი, დაარსდეს დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, 3) სოფ. სკოლებში ჯერ დედაენაზედ განავითარონ მოსწავლენი, რომ უფრო ადვილად რუსული შეასწავლონ. 4) შემოღებულ იქმნას ერობა.

კრებამ მიიღო გარდაწყვეტილება: 2) შემოღებულ იქმნას სავალდებულო სწავლება, 3) საზოგადო განვითარება სწარმოებდეს მოსწავლეთა დედაენაზედ, და თანაც ისწავლებოდეს რუსული ენა 4) ჩობახაურის სანერგეს მიემატოს მოხელენი, 5) მიიღოს სექციის დადგენილებანი.

შემდეგ, მეორე საკითხზედ დაიწყო კამათობა. მაგრამ დაგვიანების გამო კრება ღამის 1 საათ. შეწყვეტილი იქმნა და გადაიდო მეორე დღისათვის.

ნადიკვრელი.

---

* იხ. „ივერია“ № 265.

რეობა (**наслѣдственность**) ისე ისტორიული ტრადიცია ძლიერი ძალაა!

თავად-აზნაურობა იყო მოსარჩლე ერისა, მომგერებელი გარეშე მტრისა და გამგე შინაურის საქმისა. ენა, სარწმუნოება, სამშობლოს დაცვა ამ წოდების დროშაზედ ეწერა და დღესაც სწორედ ეს აწერია. ამ წოდების დიდებულს ღვაწლს ვერ შეარყევენ და შეჰბღალავენ ის მუხანათნი ამ ცნებისა, რომელნიც ვითა მახინჯნი ოჯახში ყველგან მოიპოვებიან.

რაკი ბევრი თავადი და აზნაური კერძო ცხოვრებით საძრახისია, ამიტომ შესაძლოა წოდების საწინაალმდეგოდ გალაშქრება? მაშინ ხომ უფრო მეტად მთელ გლეხ-კაცობის, სასულიერო წოდების და თვით ინტელიგენციის საწინაალმდეგოდაც უნდა ალვიჭურვნეთ...

აბდა-უბდობას სწორედ ეს მოსდევს, ყველაფრის გაუქმება ჩვენში და ერის სავსებით დამხობა!..

დასასრულ, არ შემიძლიან „სამთა კავშირს“ არ მოვახსენო, რომ დავიწყებია: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

„კვალი“ ბრძანებს: „დიაღ, ჩვენი თავადაზნაურობა მუდამ მოძრაობაში იყო, — თითოეული თავადი მარტო თავის სოფელს და შინა-წყალს არ სჯერდებოდა. განა მოძრაობა არ იყო ეს, რომ ერთი ფეოდალი მეორეს მიუვარდებოდა და ერთიანად აიკლებდა მის სახლს-კარს, აიკლებდა მისი გლეხების კარმიდამოს და მეურნეობას, წამოიყვანდა ტყვეებს და თათრებზედ ან სპარსელებზე ჰყიდდა“?. ამის პასუხს „კვალს“ თვით მისი მოკავშირე ბ-ნ ბარბალისძის სიტყვებით მოვახსენებ: რაკი „ტელეფონის, რენტგენის სხივების მოგონებაში უბრალო მიწის, ფაბრიკის მუშასაც წილი უდევს“, ვგონებ, ფეოდალთა ბრძოლის დროს ჩვენი გლეხ-კაცის მუშტსაც უფრო მეტი წილი ედვა, თუ მეტადრე იმასაც არ დავივიწყებთ რომ აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალი გლეხ-კაცი ბევრად მეტი იყო საბატონო გლეხ-კაცობაზე და ამასთანავე ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ.

ბ-ნი სიტყვაც, როგორც „კვალი“, ბევრს კარგსა ბრძანებს, მაგრამ მისი სიტყვებიც და მისგან მოყვანილი ფაქტებიც უფრო ჩემს აზრს ამტკიცებს, ვიდრე წინააღმდეგს. მაგალითად, „არქანჯელო ლამბერტი“ და „ერთი პატრი“ მოგვითხრობენო, რომ სამეგრელოს თავადები გლეხ-კაცებს და „უმანკო ბავშვებს“ მიჰყიდნენ ხოლმე ოსმალებსო. ეს ამბავი ჭეშმარიტად მიაჩნია ბ-ნ სიტყვას და თავის მხრივ დასძენს: „სრულიად საკვირველი არ არის ასეთი ამბები. ცხოვრების კანონები ერთია ყველგან: ყმებს ყიდდენ თავად-აზნაურობანი ევროპაშიც, ყიდდენ ჩვენშიაც“. მერე ამით რა? ნუ თუ ეს ფაქტი (თუ-კი მართალია) იმას ამტკიცებს, რომ გლეხ-კაცობა მაღლა იდგა თავად-აზნაურობაზედ და კულტურულ ძალას წარმოადგენდა? ან იქნება ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა წერილმა ბ-ნ სიტყვაზედ, რომ, ვითომ მე სუყველა თავადი ანუ აზნაური უმანკოდ და წმინდანად მიმაჩნია. მე ვეხები მთელ წოდების მნიშვნელობას, მის ისტორიულს როლს და არა თვითოეულ თავადის ანუ აზნაურის ზნე-ხასიათს. დღეს ჩვენის ხალხის მეთაურად ეგრედ წოდებული ინტელიგენცია უნდა ჩაითვალოს, მაგრამ განა ყველა განათლებული კაცი, ინტელიგენტი უმანკო და არა ჰღალატობს თავის მოვალეობას და დანიშნულებას?

„ივერიაც“, თავის მხრივ, მეთაურ წერილში ასცდა სიმართლეს, როცა სთქვა: „თუ ქართველი ხალხი გვიყვარს, ყოველი მისი ნაწილი ერთნაირად უნდა გვიყვარდესო“. მერე რით ამტკიცებს პატივცემული ავტორი, რომ მე „ცალ-მხრივი“ სიყვარულითა ვარ გამსჭვალული, ე. ი. ვითომ თავად-აზნაურობა მიყვარს და გლეხ-კაცობა-კი არა. ვის გაუგონია, ისტორიულ ფაქტების აწონ-დაწონვის დროს სიყვარულზედ ლაპარაკი?! აგრეთვე წყალთა ნაყვა იქნება საუბარი იმაზედა, ქართველი ხალხი კარგი ხალხია თუ ცუდი; აგრეთვე სად გაგონილა, რომ ისტორია მოგვითხრობდეს ავის ხალხის ანუ კარგის ხალხის ცხოვრებას? „ის ხალხი, რომელსაც ვახტანგ გორგასლანი და დავით აღმაშენებელი ჰყოლია, სწორედ კარგი ხალხი ყოფილა, თორემ ცუდს ხეზედ თავის დღეში ხეირიანი ნაყოფი არ დაიბადებაო“, — ბრძანებს მეთაურის ავტორი. ჩვენს ხალხს უფრო ხშირად ავ-გიორგის მგზავსნი მეფენი ჰყოლიებია, ამიტომ ქართველი ხალხი ამ ლოღიკით უფრო ავი ხალხი უნდა იყოს. აი, კიდევ უცნაური მაგალითი, რომელიც ვითომ ჩემ საწინააღმდეგოდ მოჰყავს მეთაურ წერილის ავტორს. „რუსის გლეხს რომ ჰკითხოთ გოლოვინსკის პროსპექტზედ, სადაური ხარო, — უეჭველად გიპასუხებთ: **Пензенскій, Тамбовскій, Самарскій** და სხვ. ნუ-თუ ეს პასუხი მოასწავებს იმას, რომ რუსის გლეხმა“ — კაცმა არ იცის, რა არის სამშობლოო??“ გასაოცარია სწორედ, კაცს ეკითხებით სადაური ხარო, მაშ რა პასუხი მოგცეთ თუ არ **Пензенскій**?! არა, ბატონო, დაეკითხეთ ვინა ხარ-თქო, როგორც მე მოგახსენებდით და არა სადაური ხარ.

„ივერიის“ მეთაურ წერილში არც ერთი წინადადება არ არის, არც ერთი აზრი, რომელსაც ჩემის წერილის შინაარსთან რამ კავშირი ჰქონდეს. დარიგება-კი ბლომად არის: „ჩვენ მხოლოდ იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ნამდვილი (?!.) თავად-აზნაურობა და გლეხობა, როცა საჭიროება მოითხოვს, ყოველთვის ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში. მხოლოდ ამ ერთობამ შეინახა ჩვენი მიწა-წყალი და, როცა ერთობა გვავიწყდებოდა, მაშინ სამშობლოსაც ვნება ეძლეოდაო“. თუ ჩემ საწინააღმდეგოდ ბრძანებს ამას ავტორი, ვთხოვ ამ სიტყვების ავტორს მიჩვენოს ის ალაგი ჩემის წერილებისა, რომელშიაც სწორედ იმას არ ვამტკიცებდე, რომ მხოლოდ ერთობით და ძმობით შევსძლებთ საიმედო ცხოვრების გზის გაკვლევას.

არ შემიძლიან ყურადღება არ მივაქციო ბ-ნ ბარბალისძის ერთად-ერთს ფაქტსაც, რომელიც თითქო ჩვენის ხალხის ცხოვრებას ეხება.

აი რასა ბრძანებს ბ-ნი ბარბალისძე:

„ვიმეორებ, თუ-კი ჩვენი კულტურა, ენა, ლიტერატურა დაცულ იქმნა დღემდე, ეს ისევ მშრომელ ხალხის ბრალია. ჩვენ ვიცით მაგალითები, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის მთავრები რა ადვილად ჰყიდდნენ ენას, სარწმუნოებას. მაგრამ არსად არ მომხდარა, რომ მთელის კუთხის ხალხს გამოეცვალოს ენა, გაეყიდოს სარწმუნოება და სხვა. შესაძლებელია ერთი, ათი, ასი მთავრის გადაგვარება, მაგრამ მთელის ერისა-კი არა, თუ-კი ამ ერს კულტურა, ისტორია აქვს“. რადგან ბ-ნი ბარბალისძე ცოტა ზევით გვარწმუნებს, რომ ჩვენ ისტორია გვქონია, ამიტომ გამოწერილი ტირადა ჩვენს ხალხსაც უნდა ეხებოდეს:

ყურში ჩავჩურჩულებთ ბ-ნ ბარბალისძეს, რომ სხვაგან ძებნა არ უნდა, სიმართლეს ნუ უღალატებს და დაინახავს, რომ ჩვენში მარტო მთავრები არ ჰღალატობდნენ სარწმუნოებას, ენას, ქართველობას, არამედ „მთელის კუთხის“ ხალხიც იყო ამ საშინელ დღეში ჩაყენებული: აჭარა, ქობულეთი, ლაზისტანი, მესხეთი, საინგილო. ამ კუთხეების ხალხმა გამოიცვალა სარწმუნოება და ბევრი მათგანი ოსმალეთს გადასახლდა, საქარრველოს უღალატა და სამშობლო ენაც უარჰყო. ბევრნი დიდებულნი და თავად-აზნაურნიც იყვნენ, რომელნიც სწორედ ესე მოიქცნენ. განა ამით ჩემის წერილის დედა-აზრს აკლდება ან ემატება რამ?

სამთა კავშირს მოვახსენებ კვალად, ტყუილად არ არის ნათქვამი: „ვინცა სიმართლეს ჰღალატობს, იგი თავისი მტერიაო“.

მ. ტფილისელი.

კავკასია

ბაქოს ქალაქის გამგეობის მიერ რუსეთიდგან გამოწერილი ბუხჰალტერი ნატანსონი მოვიდა ბაქოში და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

—

4 დეკემბერს, ბალახანაში 60-მდე ქალი და ბავშვი ნავთს აგროვებდა. უცებ მათ თავს დაესხნენ სპარსელები ქართველ ცხენოსანის წინამძღოლობით და დაუწყეს ქალებსა და ბავშვებს ცემა და დაუმსხვრიეს კასრები. შეიქმნა მათი საშინელი წივილ-კივილი. ერთი გამვლელი შეეკითხა ცხენოსანს: რისთვის სცემთ ასე უწყალოდ ბავშვსა და ქალებსო? მან უპასუხა: რა შენი საქმეა? ესენი საბჭოს მუშებია, მე ათის თავი ვარ! ეს მაზუტი ჩვენს თხრილში ჩავაო! აქ მოვიდა ორი რუსი და მოინდომეს ცხენოსნის პოლიციაში წაყვანა, მაგრამ მან გააჭენა ცხენი და გაჰქუსლა.

რუსეთი

ლ. ნ. ტოლსტოის 50 „წელი“ შეუსრულდა, რაც ლიტერატურასა და საზოგადოებრივს სარბიელზედ მოღვაწეობს, ამის გამო მაქსიმე გორკიმ 150 კაცის ხელმოწერილი ადრესი მიართვა ტოლსტოის. ტოლსტოიმ უღრმესი მადლობა შეუთვალა გორკის პირით ადრესის მიმრთმევველთ.

— ქ. ქერჩში გამოვა ყოველ დღიური „ყირიმის გაზეთი“, რომლის რედაქტორად დამტკიცებულია ბ-ნი კრისტი.

— ქ. ოდესაში დრო გამოშვებით გამოვა ამ მოკლე ხანში „Фотографическій Листокъ“.

— ქერჩის გიმნაზიის შაგირდებს განუზრახავთ ჟურნალის დაარსება. გიმნაზისტები სცდილობენ ქალების გიმნაზის მოსწავლენიც მოიწვიონ თანამშრომლებად; რედაქციის წევრებად თვითონ გიმნაზისტები დარჩებიან, ხოლო ცენზორად გიმნაზიის რომელიმე მასწავლებელი იქნება. ნება-რთვას უცდიან. („იუჟნ. კურ.“).

— ყაზანის საგუბერნიო ერობამ გამოსცა ყოველ კვირეული „ყაზანის გაზეთი“, რომელიც 2 მან. ღირს წელიწადში.

— ბალაშოვის, სერდაბის მაზრის გლეხების აჯანყების საქმეს 7—14 დეკემბერს გაარჩევენ. (სარატ. დნ.).

— სტერლიტმის (უფ. გ.) სასოფლო სამეურნეო კომიტეტის კრებას გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ გაუქმებულ იქმნას პირველ მოთხოვნილების აუცილებელ საგნებზედ გარდასახადი, მაგ. სპიჩკასა, მარილსა პურსა და სხ.

— რათა კანონიერება დაცულ იქმნას მუშებსა და დამქირავებელთ შორის, ფეოდოსიის ნავთ-სადგურზედ სადგურის უფროსს „გამოუცია შემდეგი სავალდებულო ღონისძიებანი: 1) მუშების დაქირავების დროს უნდა ესწრებოდეს ნავთსადგურის ზედამხედველი, 2) ვალდებულია დასწეროს დამქირავებელის სახელი და გვარი, ბინა, მუშათა რაოდენობა, სამუშაო ქირა, და 3) ანგარიშის დროს თვალ-ყური უნდა ადევნოს ანგარიშის გასწორებას. (იუჟ. კურ.)

— ტეხნიკურ განათლების მოყვარულთა კონგრესი პეტერბურგიდგან ოდესაში იქნება გადატანილი, რომელიც მოხდება 1903 წლის დეკემბერში.

— 13 ნოემბერს ორიოლის ოლქის სასამართლომ განიხილა მღვდლის პიატინის საქმე, რომელსაც მღვდლის ქალის ბარბარე ორლოვის სიტყვითი შეურაცხყოფა ბრალდებოდა. ქ-ნი ორლოვი ბავშვებს ასწავლიდა, ამ დროს მღ. პიატინი შემდეგის უშვერის სიტყვებით ლანძღავს ქ-ნს ორლოვს: თქვენ როსკიპი, პროსტიტუტკა ხართ, პროსტიტუტკაზედ უარესი. მღ. პიატინი ამტკიცებდა რომ მან „ინსტიტუტკა„ სთქვა და არა „პროსტიტუტკა“, მაგრამ მოწმეება (რომლებშიაც მოსწავლენიც ერივნენ) დაამტკიცეს, რომ მღ. პიატინს „პროსტიტუტკა“ უწოდებია ქ-ნ ორლოვისთვის და არა „ინსტიტუტკა“. სასამართლომ 50 მანეთით დააჯარიმა დამნაშავე მღვდელი პიატინი. („ორლოვ. ვესტ.“).

— სამარის სამაზრო კომიტეტს დაუდგენია, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ „შემოღებულ იქმნას 1) წვრილ“ სასოფლო თვით მართველობა, რომლის წესდებაც ერობამ უნდა შეადგინოს; 2) ცენზურის გაუქმება და მწერლობაში მომხდარ უკმაყოფილო საქმის სასამართლოს გარდაცემა 3) გლეხთა შორის მოქალაქობრიობის გაღვიძება, 4) გლეხობის ადმინისტრატიულ ზომებიდგან განთავისუფლება, 5) როზგის მოსპობა, 6) პასპორტულ სისტემის გაუქმება და 7) გლეხის საზოგადოებიდგან გამოსვლის გაადვილება.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟიდგან ატყობინებენ ერთ ვენურ გაზეთს 30 ნოემბრის თარიღით: უმაღლეს წრებში ბევრსა ლაპარაკობენ, ვითომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე სამსახურს თავს ანებებდეს, რადგან საფრანგეთ-სიამის ხელშეკრულობის გამო, ძლიერი ოპოზიცია შესდგა მის წინააღმდეგაო. დელკასსე სენატის „კანდიდატად „გამოდის არიეჟის დეპარტამენტში. თუ მართლა სენატორად იქმნა არჩეული, მინისტრის თანამდებობა უნდა დასტოვოს, რადგან სწორედ ამგვარ შემთხვევაში მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა საზოგადო სამუშაოთა მინისტრ მარნეჟულს განუცხადა,—თუ სენატორად იქმნებით არჩეული, მინისტრობას თავი უნდა „დაანებოთო. მარნეჟულმა უარი განაცხადა სენატორის კანდიდატობაზედ და ისევ მინისტრად დარჩენა არჩია. მაგრამ დელკასსე მაინც მტკიცედ ადგია თავის გადაწყვეტილებას და დიდი იმედიცა აქვს, რომ არჩეულ იქმნება სენატორად, თუმცა მინისტრ პრეზიდენტი წინააღმდეგია, რომ სენატორთა ელემენტი გაძლიერდეს სამინისტროში; ამ ჟამად საფრანგეთის მინისტრთა შორის სამი სენატორია: თვით მინისტრ-პრეზიდენტი კომბი, იუსტიციის მინისტრი ვალლე და საერო განათლებისა—შომიე.

— საფრანგეთის დეპეშათა სააგენტომ შემდეგი საგულისხმო დეპეშა მიიღო ბერლინიდგან.

ჰოვალდის გემთა საამშენებლო ქარხანაში დაამთავრეს წყლის ქვეშ მავალი ნაღმიანი გემი, რომლის გეგმაც ერთ გერმანელ ლეიტენანტს წარმოუდგენია.

ეს ახალი გემი საოცრად ჰგავს საფრანგეთის წყლის ქვეშ მავალ გემ „Narval“-საო.

ამ დეპეშის გამო საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთი დიდად ჰკიცხავს ზღვათა მინისტრს,—რად მოიწვია უცხო ინჟენერი რაულ პიკტე ამგვარ გემების გეგმის შესადგენადაო.

გერმანია. რეიხსტაგის უკანასკნელ კრებაზედ ბიულოვმა გამოსთქვა, „თუ როგორ უყურებს მთავრობა ახალს საბაჟო ტარიფს. კანცლერმა კიდევ განიმეორა, რომ ავტონომიური ტარიფი ის საფუძველია, რომელზედაც უნდა დამყარდეს უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება დ შეცვალოს სავაჭრო ხელშეკრულობაო.

სოციალ-დემოკრატთა დეპუტატემა ბებელმა, მიულერმა და გოტჰაინმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კანცლერს. მათ განაცხადეს, რომ კონსტიტუცია დარღვეულია მთავრობის მიერ, თავისუფალი მსჯელობა პარლამენტში აღარ არსებობს; მთავრობამ დაჰკარგა თანდათანობა თავის მოქმედებაში; რასაც წინად უარს-ჰყოფდა, ახლა თვით ხმარობს იმ საშუალებასაო. თუ ახალი ტარიფი მიღებულ იქმნა, ხალხი საოცარს გაჭირვებაში ჩავარდებაო. ბებელმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „ეს ტარიფი, როგორც დიდებული საჩუქარი თქვენი კლასისა, შობის ხეზე ჩამოჰკიდეთ; თქვენ იქეიფეთ, იმხიარულეთ დიდებულად მორთულს ოთახებში, როცა თქვენს უკან, ცივს, ნოტიო და ბნელს სარდაფში, თუ ქუჩებზე მილიონობით ხალხი სიცივ-სიმშილისაგან კანკალობდეს და ძრწოდეს. ჩვენ შევსძლებთ ავუხსნათ და ჩავაგონოთ ამ ხალხს, თუ როგორ დაუნდობლად უღალატეთ თქვენ მას და როგორ გასთელეთ ფეხ-ქვეშ მისი უფლებანი. მისი მსჯავრი, მისი წინააღმდეგობა სამარედ მოევლინება თქვენს ბრძანებლობას და ბატონობას, რომლითაც ვერაგულად სარგებლობდით ხალხისავე დასაჩაგრავად“.

ოსმალეთი, ამ რამდენისამე დღის წინად სალონიკს მივიდა ახლად დანიშნული ევროპის ოსმალეთის „ინსპექტორი“ ჰუსეინ-ჰილმი-ფაშა, თავის თანაშემწე ნასსირ-ფაშითურთ; აქედგან იგი მალე წავა კოსსოვოს, სადაც დაიწყებს რეფორმების სისრულეში მოყვანას. გაზ. „Neve Freie Presse“-ის სალონიკის კორესპონდენტს ჰუსეინ-ჰილმი-ფაშასთან საუბარი ჰქონია: ფაშას განუცხადებია: მე ხონთქარის მიერ ყველა ვილაიეტებში მცხოვრებთათვის აღთქმულ რეფორმებს მტკიცედ შევასრულებო, მაგრამ ამისათვის დროა საჭიროო; ერთბაშად ყოველისავე შესრულება შეუძლებელიაო.

„პიველად მე კოსოვოში შევჩერდებიო,—უთქვამს ფას. საით წავა მერე ჩვენი კომისია, ჯერ ვერას ვიტყვი, რადგან სხვა-და-სხვა შემთხვევაზეა დამოკიდებული ჩვენი მოქმედება. კომისიას არ ექნება სამუდამო ბინა: იგი ჯერ-ჯერობით რამდენსამე ხანს დაჰყოფს სალონიკს, კოსოვოს, უსკიუბს და მონასტრის ვილაიეტებში“-ო.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან კვირას, დეკემბრის 8-ს, წარმოდგენილი იყო „უბრალოდ დასჯილნი“, კომედია 4 მოქმედ. ოსტროვსკისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ **მესხის ასული ეფემია** (ლიუბოვ ივანოვნა ატრადინისა და შემდეგ ელენა ივანოვნა კრუჩინინისა).

აბაშიძის ასული ფასო (ნინო პავლოვნა კორინკინისა და **ბ-ნი ქორიძე** (გრიგორი ნეზნამოვი), რომელთაც ბოლომდის მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი როლები.

დანარჩენებსაც არა უჭირდათ-რა, საერთოთ ანსაბლს ხელს უწყობდნენ. ხოლო უნდა შევნიშნოთ მეორე ხარისხოვან მსახიობთ: სიტყვებში ბორძიკი და როლებში თავიანთ უხეირო ქართულის ჩამატება. სასურველია, ეს ნაკლი როგორმე გაისწორონ.

დასასრულ არ შეგვიძლია არ გამოვაცხადოთ ჩვენი მწუხარება, რომ საზოგადოება ცოტა ესწრება წარმოდგენებს და განსაკუთრებით არა სჩანს ქუთაისის ინტელიგენცია, თუ სახეში არ მივიღებთ თითო-ოროლას.

ეტყობა რომ ბანქომ და მწვანე სტოლმა დიდი მოცილეობა გაუწია ჩვენს თეატრს და ამ ბოლოს დროს, არჩევნების მოახლოვების გამო, საარჩევნო ვახშმებმა კიდევ უარესი.

—

ხუთშაბათს, დეკემბრის 12-ს, გამართული იქმნება იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება „გულჯავარი“ და მონაწილეობას მიიღებს ჩხეიძის ასული ნინო.

—

კვირას, დეკემბრის 15-ს, წარმოდგენილი იქმნება „დენიზა“ და მონაწილეობას მიიღებს, მესხის ასული ეფემია.

სოსო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 დეკემბერი.

სევასტოპოლი. ქალაქის თავის მოადგილემ ჟიტკოვმა განაცხადა, ხელმწიფე იმპერატორმა სევასტოპოლიდგან წაბრძანების დროს, საღამოს $11^1/_2$ ს. 8 დეკემბერს, ინება და მომანდო საღამი გადმოვსცე სევასტოპოლის საქალაქო მმართველობას. საბჭომ დაადგინა: მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფეხთა წინაშე გამოაცხადოს უსაზღვრო მადლობა უმოწყალეს სიტყვებისათვის.

ორიოლი. დღისით 12 ს. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებითურთ ორიოლიდგან მოსკოვს წაბრძანდნენ.

ტაშკენტი. „რუსკი თურქესტანი“ იუწყება, ანდიჟანელთა პირველ დახმარებისათვის ხელმწიფე იმპერატორმა 50,000 შესწირაო.

სოფია. გრაფის ლამზდორფის მობრძანებას აქაური გაზეთები დიდ მნიშვნელობიანად სთვლიან. გრაფი ადგილობრივ შეიტყობს საქმეთა ჭეშმარიტს მდგომარეობას. ემზადებიან ზეიმით დაუხვდნენ.

შადრინსკი. განსვენებულმა მხატვრობის პროფესორმა ბრონნიკოვმა სამშობლო ქალაქის სასწავლებლებს უანდერძა ფული, სურათები და ქონება.

ბუდაპეშტი. გრაფი ლამზდორფი მოვიდა და ხვალ გაემგზავრება აქედგან.

დრეზდენი. „Dresden journal“-ი იუწყება, რომ კრონპრინცის მეუღლემ 29 ნოემბერს ღამე, ალბად სულიერ ავადმყოფობის გამო, დასტოვა ზალცბურგი და სამზღვარ გარედ წავიდა. სასახლეში აღარ გაიმართება საზამთრო დღესასწაულები და არც საახალწლო მიღება იქნება.

ბერლინი. საქსონიის კრონ-პრინცის მეუღლე წავიდა ჟენევას, საიდგანაც იგი თავის ფრანგულის ენის მასწავლებლად უოფილითურთ წავა სამხრეთ საფრანგეთს.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია ბრძანება შესახებ საგზაო სამინისტროსთან სამუდამო რჩევის დაარსებისა გასაწესრიგებლად რელსებისა და გზის მოხელეთა.

11 დეკემბერი.

ჟენევა. წმ. პეტრეს ტაძრის ბჭესთან ღამე მიუგდიათ ყუმბარა. ბჭის ერთი ნაწილი დაინგრა, ტაძრისა და ახლო-მახლო სახლების ფანჯრები დაიმსხვრა.

სტამბოლი. პორტა სცდილობს ავტორიტეტი გამოიჩინოს ალბანიის წინამძღოლების შესახებ; ერთი მათგანი გაიგზავნა მონასტირში, მეორე სტამბოლს და მესამე მცირე აზიაში. ამბობენ, ვითომც ემზადებიან სხვა ურჩი ალბანელებიც განდევნონ. რადგანაც სერრესის სანჯაყიდგან ბოლგარელები ბოლგარიაში გადაასახლეს და ესენი ოსმალეთის სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა მოქმეოებას სჩიოდნენ, ოსმალეთმა აუწყა დესპანებს, რომ გადასახლებულნი ბოლგარელნი მაკედონიის კომიტეტს ეკუთვნოდნენ; და ვინც ოსმალო მოხელეების მოქმედებას სჩიოდნენ, კომიტეტისაგან იძულებულნი იყვნენ.

ტანჟერი. სულთანმა დანიშნა ინგლისის ოფიცერი ჯარის საწვრთნელად.

მოსკოვი. დღეს, საღამოს 9 საათსა და 35 წუთზე გაიარეს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესი შვილებით; საიმპერატორო პავილონი დროშით და ნოხებით იყო მორთული. იმპერატორის მატარებლით მობრძანდნენ გენერალ-გუბერნატორის მოადგილე ბულიშონი, გენერალ-ადიუტანტი დანილოვი, კომენდანტი, გუბერნატორი და ობერ-პოლიცმეისტერი. 15 წუთი გაჩერდა მატარებელი. ვაგონ-სალონში მიწვეულნი იყვნენ უფროსნი პირნი. შემდეგ მატარებელი პეტერბურგს წავიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^3/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_2$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^1/_2$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	307 $^1/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89 $^1/_4$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	84 $^3/_8$ გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	4410 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	414 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	209 წვ. გაყ.

განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი.

ბანკის წესდების მე-82, 83, 84 85, და 86-§§-ის თანახმად, მსესხებელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქვემოდ ჩამოთვლილ დღეებში, დილის 10 საათზედ, ტფილისის ბანკის სადგომში დანიშნულია

კრება

მომ-ვალ სამის 1903—1905 წლისათვის 105 რწმუნებულის ასარჩევად. პირველ ჯგუფის მსესხებელთა კრება დანიშნულია 15, მეორის—16 და მესამესი—17 იანვარს 1903 წ.

რამდენიც უნდა წევრი გამოცხადდეს, კრება მაინც კანონიერად ჩაითვლება. (შენიშვ. § 86 წესდებისა).

იმათი სია, რომელთაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რწმუნებულთა არჩევნებში, გამოკიდებულია ბანკის სადგომში. (3-6—1)

რადგან 8 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა,

გამგეობა

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 **დეკემბერს**, დილის 10 საათზედ, ამხანაგობის მაღაზიის კანტორაში (კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ) დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება უსაჭიროეს საგნების განსახილველად. ეს მეორედ დანიშნული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—1)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Парфюмеря
„Роялъ-Ралле“

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლეჟავისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

საბუჰგალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

საბუჰგალტერო კლასებს აზრათა აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები.** ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორისავე სქესისანი,** 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთარების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს, საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილინი**, იურისტები: ა. ი. **მიტკევიჩი** და ვ. ფ. **სულიევსკი**, მასწავლებელი ი. ი. **ბრონ-ფონ ბრენნერი**, ს. ე. **კოშელოვი**, ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 98. (10—473—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Ліасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.